



Oxfam

# სახელმწიფო გირჩაში ეს მისი მონიცონილობის გათვალისწინები



გზაგვევლები

© 2005 საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია  
საქართველო, თბილისი 0105,  
ვ. ორბელიანის 35, ტელ.: 92-28-39  
[www.economists.ge](http://www.economists.ge)  
E-mail: [budget@economists.ge](mailto:budget@economists.ge)

წინამდებარე გზამკვლევი მომზადებულია საქართველოს ანალ-  
გაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ პროექტის “ბიუჯეტის  
მონიტორინგის” ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ბრიტანეთის  
საქველმოქმედო ორგანიზაცია ”OXFAM”-ის საქართველოს წარ-  
მომადგენლობის მხარდაჭერით.

პროექტის მიზანია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ქუთაისის  
ქალაქის ბიუჯეტის მონიტორინგის გზით ქეყანაში სახელმწიფო  
ფინანსების ხარჯების საჯაროობისა და გამჭირვალობის დონის  
უზრუნველყოფა და ზეგავლენა საბიუჯეტო პროცესებზე.

გზამკვლევი განკუთვნილია არასამთავრობო და საზოგადოებრივი  
ორგანიზაციების, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისათვის,  
რომლებსაც სურთ ჩაერთონ ქვეყნის საბიუჯეტო პროცესის ყველა  
ეტაპის სამუშაოებში და განახორციელონ ბიუჯეტის მონიტორინ-  
გი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გამჭირვალობა აღნიშნულ  
სფეროში და დაცულ იქნეს საზოგადოების ინტერესები.

გზამკვლევში ასახულია საბიუჯეტო პროცესის ყველა ძირითადი  
ეტაპი და პროცედურა, ასევე ბიუჯეტის მონიტორინგისა და  
ანალიზის მეთოდები.

## 1. Եպիփանության համարակալի տեսքը

၂၀၁၁၁၄ၬၦ

Հ. ՏԵՂՄԱՆԻ ԾՐԱՎՈՐ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ  
ՇԱՏԱԳԱՀՅՈ

3

I.	საპარტიულოს საბიუჯეტო სისტემა	5
1.1.	რა პრის გიუჯეტი	5
12.	საბიუჯეტო მოწყობის პრიცენტები	7
II.	გიუჯეტის შემოსულობები	9
2.1.	საგადასახადო შემოსავლები	10
2.2.	პრატისტული გადასახადო	13
2.3.	ძალითადური გადასახადები	16
2.4.	ბრანდივები	16
2.5.	დეფიციტის დაფინანსების ფაზოვები	16
III.	გიუჯეტის გადასახდებები	18
3.1.	სახელმწიფო გიუჯეტის გადასახდებების ფუნქციონალური ძლასივიბაცია	18
3.2.	სახელმწიფო გიუჯეტის გადასახდებების ეკონომიკური ძლასივიბაცია	20
IV.	გიუჯეტის ფორმირების პროცესი	24
4.1.	გიუჯეტის პროექტის მომზადება და წარღვევა	24
4.2.	გიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება	28
4.3.	გიუჯეტის შესრულება	29
4.4.	გიუჯეტის ანგარიშება და პროცესი	30
V.	საბიუჯეტო თანხების მომრაობა და საგადასახადო შემოსავლების განაწილება	34
5.1.	საბიუჯეტო თანხების მომრაობა	34
5.2.	საგადასახადო შემოსავლების განაწილება	39
VI.	საბიუჯეტო პროცესის მონიტორინგი	41
6.1.	გიუჯეტის მონიტორინგის სახეები	41
6.2.	გიუჯეტის მონიტორინგის ჩატარების პროცესი	45
ტერმინთა განვარტება		49

გვ. 18

სახელმწიფო ფინანსები ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები ნაწილია. სახელმწიფო ახდენს ფულადი რესურსების მობილიზებას, რათა ისინი გარკვეული ვალდებულებების და ფუნქციების შესასრულიყობლად გამოიყენოს.

სახელმწიფო ბიუჯეტი ასახავს სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებს. იგი პირდაპირ ან ირიბად ახდენს გავლენას ყველა მოქალაქის კუთილდღობაზე. მოსახლეობის ცხოვრების დონე დადად არის დამოკიდებული ისეთ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეხება ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა სფეროების დაფინანსებას.

ბიუჯეტი უშუალოდ საზოგადოებრივი ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს. საბიუჯეტო პროცესში კი ძირითადად სახელისუფლო ორგანოები არიან ჩართულნი, შესაბამისად არსებობს რისკი, რომ საბიუჯეტო პოლიტიკა სრულყოფილად ვერ ასახავდეს საზოგადოების პრიორიტეტულ საჭიროებებს.

საბიუჯეტო პროცესი და სისტემა ქვეყნის დემოკრატიულობისა და გახსნილობის ხარისხის განვითარების ფაქტორს წარმოადგენს. მეტად მნიშვნელოვანია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მას-მედიის წარმომადგენლობა იმუშაონ აღნიშნული ფაქტორების გამოვლენის კუთხით და ხელი შეუწყონ ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და გავრცელებას საზოგადოებაში. ბიუჯეტის გამჭირვალობის უზრუნველყოფის ძირითადი მექანიზმი არის საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპის საზოგადოებრივი მონიტორინგი.

მონიტორინგი უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისა და აღსრულების ყოველ ეტაპზე. ბიუჯეტის მონიტორინგის შედეგების ანალიზი აუცილებელია გასაგები იფოს სამიზნო დოკუმენტის ფართო წრისთვის, განსაკუთრებით კი პოლიტიკურსე-

ბის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლურ  
ლებისთვის.

საბიუჯეტო მონიტორინგში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური  
ჩართვა უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსების გამჭირვალობასა  
და საბიუჯეტო პროცესის საზოგადოების მოთხოვნილებებთან  
შესაბამისობას. საქართველოში თანდათანობით იქნება სხვადასხვა  
ტიპის მონიტორინგის, მათ შორის, სახელმწიფო და ადგილობრივი  
ბიუჯეტების მონიტორინგის გამოცდილება.

გზამკვლევი მიზნად ისახავს წვლილი შეიტანოს ბიუჯეტის მონ-  
იტორინგის ისეთი მექანიზმის ჩამოყალიბებაში, რომელიც სამო-  
ქალაქო საზოგადოების წევრებს საშუალებას მისცემს მუდმივად  
იყვნენ ჩართული საბიუჯეტო პროცესებში.

## 1.1 რა პრის ბიუჯეტი

სიტყვა ბიუჯეტი მომდინარეობს ინგლისური სიტყვისგან budget, რაც ტომარას ნიშნავს. როდესაც ინგლისის პარლამენტში მთავრობა თემთა პალატას ფულს სხვოდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს (ტომარას), სადაც სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის კანონპროცესტი იდო. ამას უწოდებდნენ ბიუჯეტის გახსნას. თანამედროვე გაეცით ბიუჯეტი შემოსავლებისა და ხარჯების ერთიანობას წარმოადგენს. იგი სახელმწიფო ფინანსების ერთერთი მთავრი კომპონენტია; სახელმწიფო ფინანსები თავის მხრივ ქვეყნის ფინანსური სისტემის ძირითადი ნაწილია, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფუნქციების განხორციელების ინსტრუმენტია.

“საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ” კანონი ბიუჯეტის განმარტავს, შემდეგნაირად: “საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების შემოსავლობების, ავრეთვე მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების ნუსხა”.

სახელმწიფო ბიუჯეტი არის პოლიტიკური და ფინანსური ღოვეუმნებრი, რომელსაც საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს კანონის სახით. მასში ასახულია განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსება შემოსავლობების გათვალისწინებით.

ბიუჯეტი არის სხვადასხვა ღონის, რომელთა ერთიანობა ქმნის საბიუჯეტო სისტემას. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა მოიცავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური კრონელების ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს. ამასთან, ფინანსური პოლიტიკის ფორმირებისას გამოიყენება “ნაერთი ბიუჯეტი,” რომელიც აერთიანებს არსებულ ბიუჯეტებს და არ წარმოადგენს ნორმატიულ აქტს.

  
“საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ” კანონის მიხედვით  
“სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს ცენტრალური ხუდოულობის  
ფლების ბიუჯეტს, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო, აღმას-  
რულებელ და სასამართლო ხელისუფლების შემოსულობებსა და  
გადასახდელებს. ადგილობრივი ბიუჯეტი ეს არის საქართველოს  
ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტი, რომელიც შედგება შესაბამისი  
შემოსულობებისა და გადასახდელებისგან.”

### ადგილობრივი ბიუჯეტები მოიცავს:

- ✓ სოფლის, თემის, დაბის და რაიონის შემადგენლობაში შემავალი  
ქალაქის ბიუჯეტებს;
- ✓ იმ ქალაქების ბიუჯეტებს, რომლებიც არ შედიან რაიონის  
შემადგენლობაში;
- ✓ რაიონულ ბიუჯეტებს.

პრაქტიკაში აგრეთვე გამოიყენება “რაიონის კონსოლიდირებული  
ბიუჯეტი”, რომელიც აერთიანებს რაიონულ და რაიონის შემადგენლობაში  
შემავალი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს და არ წარ-  
მოადგენს ნორმატიულ აქტს.

ავტონომიური ერთეულების ბიუჯეტი წარმოადგენს აფხაზეთისა  
და აჭარის ავტონომიური ერთეულების ნაერთ ბიუჯეტს, რომელ-  
იც მოიცავს ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და  
ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალ ტერიტო-  
რიული ერთეულების (სოფელი, დაბა, თემი, რაიონი, რაიონული  
დაცვემდებარების ქალაქი და ქალაქი) ბიუჯეტებს, მათ შემოსულობებს  
და გადასახდელებს.

2005 წლამდე საქართველოს საბიუჯეტო სისტემა მოიცავდა ასევე  
ცენტრალურ ბიუჯეტს და სახელმწიფო სპეციალურ ფონდებს,  
რომელთა ერთიანობა სახელმწიფო ბიუჯეტს ქმნიდა. არსებობდა ორი  
ფონდი – სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი



და ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდი. თუმცა “საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სამინისტრო” სისტემის შესახებ” კანონში შეტანილი ცვლადებებით ბის შედეგად<sup>1</sup> საქართველოს საბიუჯეტო სისტემა სხვა სახით ჩამოყალიბდა.

## 12 საბიუჯეტო მოწყობის პრინციპები

საბიუჯეტო სისტემა არეგულირებს ბიუჯეტის პროცესების მომზადების, ბიუჯეტის დამტკიცების, შესრულების, ანგარიშებისა და ქონტროლის პროცესებს, აგრეთვე ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა, და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ურთიერთობასა და პასუხისმგებლობას.

“საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ” კანონის თანახმად საქართველოს საბიუჯეტო მოწყობა ეფუძნება 7 მთავარ პრინციპს:

1. ყოვლისმომცველობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობები და გადასახდელები სრულყოფილად უნდა აისახოს შესაბამისი დონის ბიუჯეტებში;
2. გამჭვირვალობა – ბიუჯეტების პროექტების საკანონმდებლო ორგანოებში განხილვის პროცედურები უნდა იყოს საჯარო საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტები და მათი შესრულების შესახებ ანგარიშები უნდა იქნეს გამოქვეყნებული; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი პირისათვის;
3. ანგარიშვალდებულება – საბიუჯეტო პროცესში მონაწილე ყველა პირი პასუხისმგებელია მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაზე;



4. **დამოუკიდებლობა** – ცენტრალური ბიუჯეტი, ავტონომორფული ური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტები და შემობრივი ბიუჯეტები დამოუკიდებლობა, რასაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსავლების წყაროები და საკუთარი ხარჯების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება;
5. **ერთიანობა** – ხელმძღვანელობა უნდა მოხდეს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ საერთო საფუძვლებით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, ანგარიშთა ერთიანი ჩამონათვალით, საბორჯეტო ღოკუმენტაციით, საქართველოს კონტროლის პალატის ზედამხედველობით სახელმწიფო ორგანიზაციების ერთიანი პრინციპებით;
6. **უნივერსალობა** – ბიუჯეტის ყველა შემოსულობა უნდა მიიმართოს საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად. ამასთან, არც ერთი შემოსულობა, ღონისძიების მიერ დაფინანსებული შემოსულობების გარდა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული ხარჯის ან ღონისძიებების დასაფინანსებლად;
7. **კონსოლიდირება** – ყველა სახელმწიფო შემოსულობა უნდა აისახოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, რომელიც იმართება სახელმწიფო ხაზინის მიერ და განთავსებულია საქართველოს ეროვნულ ბანკში. ხარჯების გაწევა უნდა ხდებოდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლება, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იწყებენ მუშაობას მომავალი წლის ბიუჯეტზე. აღნიშნული საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება არის შემოსავლების პროცენტირება, რაც შემდეგში ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულებას უნდა მოხმარდეს. ნებისმიერი ოჯახი, მცირე საწარმო და პიროვნება გვემვს საკუთარ შემოსავლებს და ხარჯებს. თუ აღმოჩნდა, რომ შემოსავლები გაცილებით ნაკლებია ვიდრე დაგვმილი ხარჯები, მაშინ შეიძლება სცადონ სესხის აღება. ანალოგიურად მთავრობა მუშაობს მომავალი წლის ბიუჯეტზე. თავდაპირველად განისაზღვრება თუ რა რაოდენობის ფინანსური სახსრების მიღებაა შესაძლებელი მომავალ წელს, საიდან მოხდება მათი მობილიზება, და ბოლოს, რა მიზნებისთვის დაიხარჯება. ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარება დამოკიდებულია სახელმწიფო ხელისუფლების უნარზე, რამდენად კარგად დაგვემავს და ზუსტად გააკეთებს ქვეყნისთვის აუცილებელი გადასახდელების დასაფინანსებლად საჭირო შემოსულობების პროცენტს.

სახელმწიფოს მიერ მობილიზებული ფინანსური სახსრების ერთობლიობა ქმნის ბიუჯეტის შემოსულობებს. “საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ” კანონი ბიუჯეტის შემოსულობებს განმარტავს, როგორც ბიუჯეტის ანგარიშებზე მისაღები ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობას.

**ბიუჯეტის შემოსულობები** მოიცავს ბიუჯეტის შემოსავლებს, გრანტებსა და დეფიციტის დაფინანსების წყაროებს.

**შემოსულობები = შემოსავლები + ბრანტები + დეზიდების დაფინანსების ფაზაროვები**

**ბიუჯეტის შემოსავლები** კანონმდებლობის შესაბამისად არის ბიუჯეტების ანგარიშებზე მისაღები ფულადი სახსრები, რომელთა

  
დაბრუნება და ანაზღაურება არ ხდება. შემოსავლები შეიძლება იყოს საგადასახადო, არასავადასახადო და კაპიტალური. შემოსავლები შეიძლება იყოს მიზნობრივი და მიმული კონკრეტულ ხარჯზე.

## 2.1 საბაზასახადო შემოსავლები

“საქართველოს საბორგეტო სისტემის შესახებ” კანონის შესაბამისად საგადასახადო შემოსავლები წარმოადგენს ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახდების შესაბამისად მობილიზებული თანხების ერთობლიობას.

ქვეყნის ხელისუფლებას ეკონომიკური პროცესების დასარეგულირებლად გააჩნია ბერკეტები, რომელთა მეშვეობითაც იგი ზემოქმედებს ეკონომიკაზე. მათ შორის გამოირჩევა გადასახადები, რომლებიც სახელმწიფოს არსებობისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. გადასახადი არ წარმოადგენს ბიუჯეტის ფორმირების ერთადერთ წყაროს, თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში მათ მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ.

“საქართველოს საგადასახადო კოდექსი” გადასახადს განმარტავს შემდეგნაირად: “საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და დეკოლომბოვ ბიუჯეტებში სავალდებულო, უპირობო ფულად შენატანს, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი გადახდის აუცილებელი, არაკეიპივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე”.

გადასახადს გააჩნია ორი პრინციპი:

- ✓ სამართლიანობის პრინციპი
- ✓ ეუქმტიანობის პრინციპი

სამართლიანობის პრინციპი პირობითად შესაძლებელია დაიყოს ორ ნაწილად: სამართლიანობა პორიზონტურად და სამართლიანობა



ვერტიკალურად. პორიზონტიალური სამართლიანობის პრინციპის საფუძველს თანაბარ პირობებში მყოფი გადასახადის გადამხდელურობას თანაბარზომიერი დაბეგვრა წარმოადგენს.

ვერტიკალური სამართლიანობის პრინციპის საფუძველია ერთმანეთისგან განსხვავებულ პირობებში მყოფი გადასახადის გადამხდელების პირობების შესაბამისი (მაგ. შემოსავლების ოდენობა) საგადასახადო ტუირთის დაწესება.

უფექტურობის პრინციპი განისაზღვრუბა საზოგადოებისთვის გადასახადების დაწესებით მიღებული დანაკარგებისა და მის საფუძველზე მიღებული დადებითი ეფექტის თანაფარდობით.

გადასახადს გააჩნია ორი ძირითადი ფუნქცია:

- ✓ ფისკალური ფუნქცია
- ✓ მარეგულირებელი ფუნქცია

გადასახადების ფისკალური ფუნქციის მეშვეობით ხელისუფლება ახდენს სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ფულადი რესურსების მობილიზებას.

მარეგულირებელი ფუნქციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადასახადების მეშვეობით ხორციელდება შემოსავლების გადანაწილება, ხდება ცალკეული ეკონომიკური პროცესების სტიმულირება ან შენელება, ძლიერდება ან სუსტდება კაპიტალის დაგროვება, იზრდება ან მცირდება მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა.

ზემოაღნიშნული ფუნქციების განსახორციელებლად არსებობს მრავალი სახის გადასახადი, რომელიც შესაძლებელია დაიყოს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი ხასიათის გადასახადები.

პირდაპირი გადასახადი წესდება უშუალოდ შემოსავალზე ან ქონებაზე, რასაც დაბეგვრის პირდაპირ ფორმას უწოდებენ. ამ სახის

## გადასახადებს მიეკუთვნება:

- საშემოსავლო გადასახადი, რომელიც გულისხმობს ფიზიკური პირის შემოსავლის დაბევრას;
  - მოგების გადასახადი, რომლითაც იბევრება ოურიდიული პირის მოვება;
  - სოციალური გადასახადი, რომლითაც იბევრება დამქირავებლის მიერ გაცემული ხელფასი;
  - ქონების გადასახადი, რომელიც გულისხმობს ფიზიკური და ოურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ქონების დაბევრას;
  - სათამაშო ბიზნესის გადასახადი, რომლითაც იბევრება აზარტული და სხვა სათამაშო ბიზნესი.

არაპირდაპირი გადასახადი წარმოადგენს დაბევრის ისეთ ფორმას, როდესაც კანონმდებლობით დადგენილ გადასახადს საქონლის ან მომსახურების შეძენისას იხდის მომხმარებელი. ამ ტიპის გადასახადები შედიან საქონლის ფასში ან მომსახურების ტარიფში და საქონლის მფლობელს მისი (საქონლის) რეალიზაციიდან მიღებული გადასახადის ოდენობა შეაქვს ბიუჯეტში. არაპირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება:

- აქციზი - დაწესებულია ცალკეულ საქონელზე და კანონმდებლობით იხდის საქონლის მწარმოებელი ან იმპორტიორი;
  - დამატებული ღირებულების გადასახადი - დაწესებულია საქონლისა და მომსახურების ყველა სახეობაზე (თუ განთავისუფლებული არ არის კანონმდებლობით) და გადაიხდება საქონელბრუნვის ნებისმიერ ეტაპზე;
  - საბაჟო გადასახადი - გადაიხდება საქონლის იმპორტიორის მიერ იმპორტისას;

გადასახადები იყოფა აკრეთვე ფიქსირებულ და ადვალურ გადასახადებად. ფიქსირებული გადასახადი წარმოადგენს დაბევრის ობიექტზე

კონკრეტულად დაფიქსირებული თანხის გადახდის ვალდებულებას, მიუხედავად საქონლის/მომსახურების ღირებულების შემოსავლის ოდენობისა.

ადგალუწილი გადასახდი წარმოადგენს შემოსავლის ან ღირებულების მიმართ პროცენტულ მაჩვენებელში დაფიქსირებულ გადასახადს.

მის მიხედვით თუ ვინ განსაზღვრავს ამა თუ ის გადასახდის დაწესებას ანდა შემოღებას, განასხვავებენ საერთო-სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებს.

#### საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია:

- საშემოსავლო გადასახადი;
- მოგების გადასახადი;
- დამატებული ღირებულების გადასახადი;
- აქციზი;
- სოციალური გადასახადი.

#### ადგილობრივი გადასახადებია:

- ქონების გადასახადი;
- სათამაშო ბიზნესის გადასახადი.

საბაჟო გადასახადი – განსაზღვრულია საბაჟო კანონმდებლობით. იგი წარმოადგენს სახელმწიფო ბოუგეტში სავალდებულო შენატანს საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებისათვის და გამოითვლება საქონლის სახეობისა და საბაჟო ღირებულების მიხედვით.

## 22 პრასაბარასახადო შემოსავლები

ბოუგეტის შემოსავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს გადასახადების გარდა წარმოადგენს არასაგადასახადო შემოსავლები – მიმდინარე დანიშნულების ყველა საბიუჯეტო შემოსავალი, გარდა საგადასახადო და კაპიტალური შემოსავლებისა. არასაგადასახადო

შემოსავლები მოიცავს 10 ძრითად ჯგუფს, რომლებიც თავის შერიც კლასიფიცირებულია უფრო დეტალურად შემოსავლის თითოეული კონკრეტული წყაროს მიხედვით.

არასაგადასახადო შემოსავლები მოიცავს შემდეგ ჯგუფებს:

- მოსაკრებლები – საბაჟო, სალიცენზიო, სანებაროვო, სახელმწიფო სერტიფიკატის, სარეგისტრაციო, სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებლები, სახელმწიფო ბაჟი და სხვა.
- სახელმწიფო ქონების იჯარიდან მიღებული შემოსავლები – ის შემოსავალი, რომელიც მიღება სახელმწიფო ქონების იჯარით ან გაქირავებით. აქ ერთიანდება მიწის იჯარიდან მიღებული შემოსავლები, შენობა-ნაგებობების იჯარით მიღებული შემოსავლები, მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების იჯარით მიღებული შემოსავლები.
- მომსახურების გაწევის საფასურით მიღებული შემოსავლები – სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის, ან სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საქვეუწყებო დაწესებულებებისა და საბორჯოების ტორგანიზაციებისათვის გადახდილი საფასური, რომელიც გადაიხდევინება მომსახურების გაწევისათვის.
- შემოსავალი არაძირითადი (თანმდევი) გაყიდვიდან – არაძირითადი (თანმდევი) გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალები, რომლის თვითღირებულების დადგენა შეუძლებელია. მაგალითად, ბილეთების, საფოსტო მარკების რეალიზაცია და სხვა.
- შემოსავალი დივიდენდებიდან და ეროვნული ბანკის მოგებიდან – სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებიდან მიღებული დივიდენდები და ეროვნული ბანკის მოგება.
- რობალტი – საფასური სასარგებლო წარადისეულის მოპოვებისა და ტექნოგენური წარმონაქმნების გადამუშავების



პროცესში წააღით სარგებლობის უფლებისათვის, საავტორულო უფლების, პროერამული უზრუნველყოფის, პატენტის, ნიჭილირობის აზის ან მოდელის, სავაჭრო ნიშისა და სხვა თანმდევ უფლებათა გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლებისათვის, სამრეწველო, სავაჭრო ან სამეცნიერო-კვლევითი გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლებისათვის, ნოუ-ჰაუს გამოყენებისათვის, კინოფილმების, ვიდეოფილმების, ხმის ჩანაწერების ან სხვა საშუალებათა გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლებისათვის.

- სახელმწიფო სესხის, დეპოზიტის, ვექსილის და სხვა სახის პროცენტი (სარგებელი) – სახელმწიფოს მიერ გაცემული სესხებიდან და კრედიტებიდან პროცენტების სახით მიღებული შემოსავლები. აյ არ აღირიცხება სესხების (კრედიტების) ძირითადი თანხის დაბრუნება.
- ჯარიმებითა და სანქციებით მიღებული შემოსავლები – ყველა იმ ადმინისტრაციული ჯარიმებითა და სანქციებით მიღებული შემოსავალი, რომელიც დგინდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.
- გაცემული კრედიტების დაბრუნება – ქვეყნის შიგნით (სახელმწიფო მმართველობის სხვა დონებზე, არასაფინანსო სახელმწიფო საწარმოებზე, საფინანსო ინსტიტუტებზე და სხვა პირებზე გაცემული კრედიტები), ასევე ქვეყნის გარეთ (სხვა ქვეყნის მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებზე გაცემული კრედიტები) გაცემული კრედიტების დაბრუნება.
- სხვა არასაგადასახადო შემოსავლები – ამ კატეგორიაში აღირიცხება ყველა ის არასაგადასახადო შემოსავალი, რომელიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ კგუფებში.

## 2.3 პაპიტალური შემოსავლები

კაპიტალურ შემოსავლებს მიეკუთვნება სახელმწიფოს კუთვნილი მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები, მაგალითად, საწარმოების, საწარმოებში არსებული წილების, შენობა-ნაგებობების, მანქანა-დანადგარების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები. აღნიშნული შემოსავლები 2004 წლამდე ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა, ამჟამად კი იგი შემოსავლებშია გადატანილი.

## 2.4 ბრანტები

ბიუჯეტის შემოსავლების შევსების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს გრანტები, რომლებიც არ ექვემდებარებიან დაბრუნებას. წლების განმავლობაში საქართველოს ბიუჯეტი მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული გრანტებზე. არსებობს ფულადი და სასაქონლო გრანტები. გრანტები შეიძლება დაიყოს მიღების წყაროების მიხდვით:

- ✓ სხვა ქვეყნის მთავრობებიდან მიღებული გრანტები;
- ✓ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები;
- ✓ სხვა საგარეო არასახელმწიფოებრივი წყაროებიდან მიღებული გრანტები;
- ✓ სახელმწიფო მმართველობის სხვა დონეების ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები;
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული გრანტები.

## 2.5 დეფიციტის დაზინასების ფაროები

ბიუჯეტი არსებობს დეფიციტური და პროფიციტური. იმ შემთხვევაში, როდესაც ბიუჯეტის შემოსავლები აღემატება მის ხარჯებს, ბიუჯეტი პროფიციტურია. ხოლო როდესაც შემოსავლები ხარჯებზე

ნაკლებია ადგილი აქვს ბიუჯეტის დეფიციტს. ბიუჯეტის დეფიციტი  
და პროფიციტიც მთავრობის მიერ წინასწარაა განსაზღვრული რეგულირება  
მას ამტკიცებს პარლამენტი.

როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები აღემატება  
შემოსავლებს, სხვაობის დაბალანსება ხდება სესხის აღების ანუ  
დეფიციტის დაფინანსების ხარჯზე. ბიუჯეტის დეფიციტი შეიძლება  
დაკავშირებული იყოს ქვეყნის კონომიკური განვითარების მიზნით  
მსხვილი ინვესტიციების გამოყოფასთან, ასევე სტიქიურ უბედუ-  
რებებთან, ომთან და სხვა შემთხვევებთან. დეფიციტი ორგვარი  
ხასიათისაა: ციკლური და სტრუქტურული. ციკლური დეფიციტი  
წარმოების ციკლური დაცვის შედეგია, ხოლო სტრუქტურული  
დეფიციტი დაკავშირებულია ხელისუფლების მიერ ხარჯების  
შეგნებულად გადიდებასთან. დეფიციტური ბორგების დაგვამჭის  
გასათვალისწინებლია, რომ იზრდება სახელმწიფო ვალი, რამდე-  
ნადაც დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს სესხები წარ-  
მოადგენს.

დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროებს წარმოადგენს:

- უცხოური კრედიტები და სესხები;
- შიდა კრედიტები და სესხები, მათ შორის სახელმწიფო სახაზი-  
ნო ვალდებულებებიდან მობილიზებული თანხები.



### III. გიუჯეტის გადასახდელები



ბიუჯეტის გადასახდელები ბიუჯეტის ანგარიშებიდან გასაცემი ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობაა. სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების გადასახდელები მოიცავს: ხარჯებს, დაკრედიტებას, სააქციო კაპიტალში მონაწილეობას და ვალის ამორტიზაციას – სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

$\text{გადასახდელები} = \text{ხარჯები} + \text{დაპრედიტება} + \text{ვალის დაფარვა}$

ბიუჯეტის ხარჯები წარმოადგენს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მათი ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელების მიზნით გამოყენებულ ფულად სახსრებს.

გადასახდელების აღრიცხვისა და ანალიზისათვის შემუშავებულია კლასიფიცირების სისტემა, რომლის მიხედვითაც საქართველოში დამტკიცებულია გადასახდელების ასახვის ერთიანი ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკატორი. ამასთან ერთად, ბიუჯეტი მტკიცდება ღონისძიებებისა და ორგანიზაციული კლასიფიკაციის ჭრილში.

#### 3.1 სახელმწიფო გიუჯეტის გადასახდელების ფუნქციონალური გლობალური გლობალური

ფუნქციონალური კლასიფიკაციის სისტემა გათვალისწინებულია სახელმწიფო ხარჯების საჩვენებლად, რომლებიც მიიმართება ფართო ეროვნულ მიზნების დასაფინანსებლად. ფუნქციონალური კლასიფიკაციის სისტემა მთავრობას საშუალებას აძლევს დაგვამოს, გაანაწილოს და გაანალიზოს ხარჯები ძირითადი ფუნქ-



ციონალური კატეგორიების მიხედვით (მაგ., განათლება, კულტურა-  
კა და ა.შ.). ამ სისტემის საშუალებით ასევე შესაძლებელია სხვადასხვა  
კა ქვეყნების ანალოგიური მსხვილი კატეგორიების ხარჯების  
ერთმანეთთან შედარება.

საქართველოს ბიუჯეტების ხარჯების ფუნქციონალური კლასი-  
ფიკაციის პირველი დონე აერთიანებს ხარჯებს, რომლებიც  
დაკავშირებულია ძირითადი სახელმწიფო ფუნქციების შესრულებასთან,  
ხოლო მეორე დონეზე ხარჯები გაშლილია მიზნების მსგავსობის  
მიხედვით.

საქართველოს ბიუჯეტების ხარჯების ფუნქციონალური კლასი-  
ფიკაცია შედგება პირველი დონის 14 ძირითადი ჯგუფისგან:

1. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მოშსახურება;
2. თავდაცვა;
3. საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება;
4. განათლება;
5. კანმრთელობის დაცვა;
6. სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა;
7. საბინაო-კომუნალური მეურნეობა;
8. დასვენების ორგანიზაცია და საქმიანობა კულტურის, სპორტის  
და რელიგიის სფეროში;
9. სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი;
10. სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა,  
მეთევზეობა და მონადირეობა;
11. სამთომომპოვებელი მრეწველობა და სასარგებლო  
წიაღისეული სათბობის გარეშე, გადამამუშავებელი  
მრეწველობა, მშენებლობა;
12. ტრანსპორტი და კავშირგაბჭულობა;

13. სხვა მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკური უნივერსიტეტის  
საქმიანობასთან;
14. სხვა მომსახურება, რომელიც არ არის დაკავშირებული  
ფუნქციონალური კლასიფიკაციის წარჯების სხვა ძირითად  
განყოფილებებთან.

### 3.2 სახელმწიფო პირზე მიმდინარეობის გადასახდელების მდგრადი განვითარების მიზანის საფუძვლები

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ეკონომიკურ ჭრილში კოდირება ეხმარება პარლამენტს და აღმასრულებელ ორგანოებს შეაფასონ სახელმწიფო წარჯების გავლენა ეკონომიკაზე და დასახული მიზნების განსახორციელებლად დაგეგმილი წარჯების სისტორე და მიზნობრივა. ბიუჯეტის გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაცია ერთიანია ყველა დონის ბიუჯეტის, მხარეები დაწესებულების და საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის.

ეკონომიკურ კლასიფიკაციაში წარჯები დაყოფილია ოთხ კატეგორიად:

- ✓ მიმდინარე წარჯები;
- ✓ კაპიტალური წარჯები;
- ✓ დაკრედიტება;
- ✓ ვალების დაფარვა.

მიმდინარე წარჯებში აღირიცხება ქვეყნის სამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი მიმდინარე საქმიანობის ოპერაციები. მიმდინარე წარჯები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- წარჯები საქონელზე და მომსახურებაზე – მუშაობისამსახურეთა შრომის ანაზღაურება, დამქირავებლიდან ანარიცხები (სოციალური გადასახადის გადახდა), მივ-



ლინებები და სხვა საქონელი და მოშვახურება. უკანასკნელი მუხლი საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან მასში მოცემულია: ოფისის, კვების, კომუნალური, რბილი ავეჯისა და უნიფორმის შეძენის, სამედიცინო, ტრანსპორტის შენახვისა და მოშვახურების ხარჯები.

- **პროცენტების გადახდა** – გადასახდელები ნასესხები ფულადი სახსრებით სარგებლობისათვის. ამ მუხლით ხდება შედა და საგარეო ვალის პროცენტის დაფარვა.
- **სუბსიდიები, სუბვენციები და მიმდინარე ტრანსფერტები** – მიმდინარე მიზნებისათვის სახელმწიფოს მიერ უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემული დახმარება (სუბსიდიაში შესაძლებელია ასახულ იქნეს ფულადი ან ნატურალური სახით გაცემული დახმარება); განსაზღვრული ღონისძიებებისათვის მიზნობრივად გამოყოფილი ფულადი დახმარებები, რომელიც მიზნობრიობის ან ვალის დარღვევის შემთხვევაში ეჭვემდებარება დაბრუნებას (სუბვენციები); საბიუჯეტო ორგანიზაციებზე, საოჯახო მეურნეობებზე და მმართველობის სხვა დონეებზე სათანადო წესით უსასყიდლოდ გაცემული დახმარებები (მიმდინარე ტრანსფერტები). ამავე კატეგორიაში აღირიცხება ასევე საგრანტო ხელშეკრულების მიხედვით სახელმწიფოს სახელით გაცემული გრანტები.

**კაპიტალური ხარჯები** ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითად ამოცანებს. კაპიტალურ ხარჯებს მიუკუთვნება ყველა საბორგო ხარჯი, რომელიც მიმართება საინვესტიციო და საინვაციო პროგრამების დასაფინანსებლად. აგრეთვე კაპიტალის გაზრდისაკენ მიმართული ყველა სხვა ხარჯი.

**კაპიტალურ ხარჯებში შედის:**

- **ძირითადი კაპიტალის შეძენა** – ხარჯები იმ საქონელზე, რომლის საექსპლუატაციო ვადა აღემატება 1 წელს ან/და რომელთა ღირებულებაც აღემატება 150 ლარს;

- მანქანა დანადგარების, მოწყობილობების, სატრანსპორტო და სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა; შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია შეძენა, შენებლობა და რეკონსტრუქცია; მანქანა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებებისა და შენობა-ნაგებობების კაპიტალური რემონტი (კაპიტალური რემონტი მოიცავს ძირითადი ფონდების, მათ შორის შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა დანადგარების აღდგენის ღირებულების ხარჯებს);
- დონორების კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებული ინვესტიციური პროექტების თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობის ხარჯები – ხარჯები, რომლებიც თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობის შემთხვევაში, მიეკუთვნება კაპიტალური ხარჯების კატეგორიას;
- სახელმწიფო მარაგების შესაქმნელად საქონლის შეძენა – საგანგებო რეზერვებისა და სასაქონლო მარაგების შეძენის ხარჯები, რომელსაც ჭვენისათვის აქვს სტრატეგიული და სოციალური მნიშვნელობა;
- არამატერიალური აქტივების შეძენა (პატენტების, კომპიუტერული პროგრამების, შეძენა);
- მიწის შეძენა – მიწის, ტყის, შიგა წყლებისა და სასარგებლო წიაღისეულის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები;
- კაპიტალური ტრანსფერტები – ხილების, გზების, კულტურის ობიექტების, საავადმყოფოების, სკოლების და სხვა შენობების მშენებლობის დასაფინანსებლად გაცემული ტრანსფერტები. კაპიტალურ ტრანსფერტად ითვლება სახსრების უსასყიდლოდ გადაცემა, რომელიც ატარებს ერთჯერად და არარეგულარულ ხასიათს როგორც მიმღებისათვის, ასევე გამცემისათვის;
- დაკრედიტება, სააქციო კაპიტალში მონაწილეობა. საბორგებრივ კრედიტი საბორგებრი ხარჯების დაფინანსების ფორ-



მაა, რომელიც ითვალისწინებს სახსრების გადაცემას სხვა დღის ბოლოებულზე, ფინანსურ და არაფინანსურ ორგანიზაციების ციებზე, უსასყიდლოდ ან სარგებლის უკან დაბრუნების პირობით. დაკრედიტება შეიძლება იყოს საშინაო და საგარეო;

- ვალის ამორტიზაცია – სესხის ძირითადი თანხის დაფარვა. სპირად ხელისუფლებას არ ყოფნის საკუთარი შემოსავლები და იმულებულია აიღოს სესხი სხვა წყაროდან. ასეთ დროს ხდება სახელმწიფო ვალის წარმოქმნა. სახელმწიფო იხდის სესხის პროცენტს, ასევე, აქვს ვალდებულება დაფაროს ვალის ძირითადი თანხა. სწორედ აღნიშნული მუხლით ხდება გადახდილი ვალდებულებების აღრიცხვა. ვალის ამორტიზაციაში შედის როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვალების დაფარვა.


საქართველოში საბიუჯეტო წელი კალენდარულ წელს ემთხვევა. მომავალი წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესი იწყება მიმდინარე წლის დასაწყისში. ბიუჯეტის პროექტის მომზადებაზე, შესრულებაზე და ანგარიშგებაზე ჰასუხისმგებელია აღმასრულებელი ხელისუფლება, ხოლო ბიუჯეტის პროექტის განხილვაზე, დამტკიცებასა და კონტროლზე უფლებამოსილია საკანონმდებლო ხელისუფლება. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებასა და წარდგენას კოორდინაციას უწევს და ჰასუხისმგებელია ფინანსთა სამინისტრო (იხ. სქემა №1; ცხრილი №1).

საბიუჯეტო პროცესი გრძელდება 33 თვის განმავლობაში. აქედან, დაგეგმვის ფაზა მოიცავს 7 თვეს, განხილვისა და დამტკიცების ფაზა – 3 თვეს, შესრულების ფაზა – 12 თვეს (საბიუჯეტო წელი შეესაბამება კალენდარულ წელს). ანგარიშის მომზადებისა და დამტკიცების პროცესი მოიცავს 11 თვეს.

#### 4.1 ბიუჯეტის პროექტის მომზადება და ფარგლენა

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესი იწყება მიმდინარე წლის 1 მარტს, როდესაც საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან და ეროვნულ ბანკთან ერთად (შესაძლებელია მთავრობის გადაწყვეტილებით სხვა სამინისტროებთან) იწყებს მუშაობას ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტზე. ეს უკანასკნელი მოიცავს საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ პროგნოზს, საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზს და საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

# სქემა №1. საბიუჯეტო პროცესის ეტაპები



საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზის საფუძველის  
წარმოადგენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უსაფრთხოებას  
ინდიკატური გეგმის პროექტი. ივი მოიცავს მთლიან შედა პრო-  
დუქტს, ინფლაციას, ხელფასების ცენლილებებს, წარმოებას სექ-  
ტორების მიხედვით, საგადამხდელო ბალანსს, გაღუტის კურსს,  
მონეტარულ მაჩვენებლებს და სხვა ძირითად ელემენტებს.

საშუალოვადიანი ფინკალური პროგნოზი არის საშუალოვადიან  
მაკროეკონომიკურ პროგნოზზე დაფუძნებული შემოსავლების,  
ხარჯების და დაფინანსების ძირითადი ელემენტების პროგნოზი.

საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები  
მოიცავს: მიმდინარე ბიუჯეტის მდგომარეობას; წინადაღებებს ბიუ-  
ჯეტის სტრატეგიის შესახებ, რომელიც გამომდინარეობს მთავრობის  
პოლიტიკისა და პრიორიტეტებისაგან; ძირითად ფინკალურ და  
ფინანსურ დირექტივებსა და მიზნებს; შემოსავლებისა და ხარჯე-  
ბის ძირითად კატეგორიებს (საბიუჯეტო წლისათვის). ივი ფუნქცია  
საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ პროგნოზს, საშუალოვადიან  
ფინკალურ პროგნოზს, მიმდინარე წლის ფინკალური მდგომარე-  
ობისა და სტრატეგიის ანგარიშს.

ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს ფინანსთა  
სამინისტრო საქართველოს მთავრობას წარუდგენს 15 აპრილამდე.  
1 მაისამდე, პრეზიდენტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობა  
აღნიშნულ დოკუმენტს პარლამენტის ეკონომიკური პროფილის  
კომიტეტებს წარუდგენს. 1 ივნისამდე საფინანსო-საბიუჯეტო  
კომიტეტი შესაბამისი კომიტეტების დასკვნებზე დაყრდნობით  
ამზადებს დასკვნას და უგზავნის საქართველოს მთავრობას. 15  
ივნისამდე კი საქართველოს მთავრობა ამტკიცებს კადრებისა და  
ხარჯების ზღვრულ მოცულობას. მომდევნო 5 დღის განმავლობაში  
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ყველა ძირითად მხარჯავ  
ერთულს უზავნის საბიუჯეტო ცირკულარს (საბიუჯეტო განაცხა-  
დი), სადაც მითითებულია სამტატო ერთულისა და ხარჯების  
ზედა ზღვარი კონკრეტული საბიუჯეტო წლისათვის. პარლამენტი-



სა და კონტროლის პალატის საშტატო ერთეულების და ხარჯების ზედა ზღვარს განსაზღვრავს მთავრობა პრეზიდენტის შეთანხმებით (პარლამენტის მიერ წარდგენილი პროექტის საფუძველზე).

მხარჯავი დაწესებულებების ხელმძღვანელები საბიუჯეტო ცირკულარზე დაყრდნობით ამზადებენ საბიუჯეტო განაცხადებს და 15 ავგისტომდე წარუდგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. საბიუჯეტო განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- გასული საბიუჯეტო წლის ფაქტობრივი შემოსულობები და გადასახდელები, მიმდინარე წლის მოსალოდნელი შემოსულობები და გადასახდელები, დასაგეგმი საბიუჯეტო წლის შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზები;
- საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით მომავალი საბიუჯეტო წლის და კიდევ შემდგომი 2 საბიუჯეტო წლისათვის გაანგარიშებული შემოსულობები და გადასახდელები;
- ინფორმაცია ბიუჯეტიდან დასაუინანსებული თანამშრომლების მოთხოვნილი ოდენობის შესახებ;
- შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზების დასაბუთება;
- ინფორმაცია მხარჯავი დაწესებულებების მიერ მიღებული ან მისაღები არაფულადი გრანტების შესახებ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საბიუჯეტო განაცხადებს ამოწმებს და მხარჯავ დაწესებულებებთან ერთად ინილავს 30 ავგისტომდე. მხარჯავ დაწესებულებას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

15 სექტემბრამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს მთავრობას განსახილველად წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს, ხოლო 1 ოქტომბრამდე საქართველოს მთავრობა პრეზიდენტთან შეთანხმებით სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს წარუდგენს პარლამენტს.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის განხილვა  
იწყება პარლამენტის კომიტეტებში. საკომიტეტო მოსხეების შედეგ  
კანონპროექტი განიხილება საქართველოს პარლამენტის პლენარულ  
სხდომაზე. ბიუჯეტის პროექტსა და მიმღინარე წლის სახ-  
ელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებას წარად-  
გენს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან მთავრობის წევრი პრე-  
მიერ-მინისტრის დავალებით. პარლამენტი ასევე ისმენს კონტრო-  
ლის პალატისა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო  
კომიტეტის მოხსენებებს.

საქართველოს პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტს ამტკიცებს ერთი მოსმენით ხმათა უძრავლო უმრავლესობით. საქართველოს პარლამენტს შეუძლია მხარი არ დაუჭიროს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილ კანონპროექტს. ამ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით 2 კვირის ვადაში წარუდგენს პარლამენტს კანონპროექტის ახალ ვარიანტს, რომლის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში პრეზიდენტს უფლება აქვს დაითხოვოს პარლამენტი და დეკრეტით დაამტკიცოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პარლამენტი ახალი საბოლოოებრი წლის დაწყებამდე ვერ დაამტკიცებს ბიუჯეტს, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს უფლება ქმლევათ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი ხარჯები გაწიონ თვეში წინა წლის ასივნებების მოცულობის ერთი მეთორმეტედის ოდენობით, მიღებული შემოსავლების ფარგლებში.

ქვეყანაში საგანგებო სიტუაციის შექმნის შემთხვევაში, პარლამენტი უფლებამოსილია დაამტკიცოს მთავრობის შემოთავაზებული და პრეზიდენტთან შეთანხმებული საგანგებო ბიუჯეტი საგანგებო მდგომარეობის ხარჯების დასაფინანსებლად. ასევე შესაძლებელია შემოღებული იქნეს დამატებით გადასახადები, მოსაქრებლები, თუ საჭირო გახდება დამატებითი შემოსავლების მობილიზება.

  
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილების  
შეტანის საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა პრეზიდენტის მიერ მიღებით საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდ-  
გნს აღნიშნულ ცვლილებებს.

ისეთი კანონის ან ნორმატიული აქტის პროექტი, რომელიც  
გავლენას მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით დად-  
გენილ შემოსულობებსა ან/და გადასახდელებზე, პარლამენტის  
მიერ შეიძლება განხილული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ  
მათ ახლავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ  
კანონში ცვლილების პროექტი. აღნიშნული კანონპროექტები  
პარლამენტმა შეიძლება დაამტკიცოს მხოლოდ მთავრობის  
თანხმობის შედეგები.

### 4.3 ბიუჯეტის შესრულება

წლიური საბიუჯეტო კანონის მიღებისა და პრეზიდენტის მიერ  
მისი ხელმოწერისთანავე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო  
თითოეულ მხარჯავ დაწესებულებას აწვდის ინფორმაციას მასზე  
გამოყოფილი ასიგნებების შესახებ. ამასთან ერთად, ფინანსთა  
სამინისტრო მუშაობას იწყებს საბიუჯეტო სახსრების განწერაზე.  
განწერა არის დოკუმენტი, რომელშიც ბიუჯეტის შემოსულობები  
და გადასახდელები გაშლილია კვარტლების მიხედვით, ბიუჯეტის  
კანონისა და კლასიფიკაციის შესაბამისად. განწერილი ხარჯები  
და შემოსავლები უნდა იყოს დაბალანსებული. აღნიშნული დოკუ-  
მენტი საჭიროა მისითვის, რომ არ მოხდეს დისბალანსი ხარჯების  
სა და შემოსავლებს შორის წლის სხვადასხვა პერიოდში. გან-  
წერა სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონთან ერთად ძირითადი  
დოკუმენტია, რომელსაც იყენებს სახაზინო სამსახური ხარჯების  
დასაფინანსებლად. სახაზინო სამსახურს უფლება არ აქვს გასცეს  
თანხა, თუ ამას არ ითვალისწინებს განწერა.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პროცესში თუ აღმოჩნდა, რომ წლის პირველ ნახევარში ბიუჯეტის წლიური პროგნოზის უნდა ბული შემოსავლები და გრანტები განიცდის 10 პროცენტზე მეტ დანაკლის, მთავრობამ პრეზიდენტთან შეთანხმებით პარლამენტს უნდა წარუდგინოს მიმდინარე წლის ბუჯეტის კანონში შესაბამისი ცვლილებების პროექტი.

#### 4.4 ბიუჯეტის ანგარიშგება და ძონტროლი

ბიუჯეტის ანგარიშგება და კონტროლი საბორჯეტო პროცესის ურთერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ფინანსთა სამინისტრო ყოველი თვის 20 რიცხვამდე სახელმწიფო ხაზინის მეშვეობით ამზადებს ანგარიშს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და დეფიციტის დაფინანსების წყაროების შესახებ.

ყოველი კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმოხილვას, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: მაკროეკონომიკური და საბორჯეტო სფეროში მიმდინარე მოვლენები; შემოსულობების, გადასახდელების და დეფიციტის დაფინანსების წყაროების ფაქტობრივი მოცულობის შედარება წლიური საბორჯეტო კანონით დამტკიცებულ მიცულობასთან და ძირითადი განსხვავებების განმარტებები.

ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციებისა და დადგენილი ვადების შესაბამისად მხარველი დაწესებულებები ამზადებენ საკუთარ საბოლოო ანგარიშებსა და ანგარიშგებას, რომლის საფუძველზეც საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს ერთიან წლიურ ანგარიშსა და ანგარიშგებას. ერთიანი წლიური ანგარიში, ანგარიშგება და კონტროლის პალატის შესაბამისი დასკვნა პარლამენტს წარუდგინება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ვადებში. ფინანსთა სამინისტრო ანგარიშს ამზადებს საბორჯეტო წლის დამთავრებიდან სამით თვის ვადაში. კონტროლის პალატის დასკვნა, რომელიც ასახავს

თუ რამდენად სწორი და ზუსტია წარმოდგენილი ანგარიშები, პარლამენტის წარედგინება ფინანსთა სამინისტროს ანგარიშის მოსმენის შემდეგ.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების განხილვისა და საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენების შემდეგ საქართველოს პარლამენტი არა უგვიანეს 1 ნოემბრისა გამოსცემს დადგენილებას მისი დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ საქართველოს პარლამენტმა არ დაამტკიცა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, პრეზიდენტი განიხილავს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს და პარლამენტს ერთი თვის ვადაში აცნობებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. საქართველოს პარლამენტს ბიუჯეტის შესრულების პროცესში კანონიერების დარღვევის შემთხვევაში უფლება აქვს მიმართოს პრეზიდენტს საბორჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით.

ცხრილი №1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროცესის კალენდარი  
თემა 15 ულავ  
შესაბამისობა

№	ვადები	პროცესი
1.	1 მარტი	ფინანსთა სამინისტრო და ეროვნულ ბანკთან ერთად იწყებს მუშაობას ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტზე
2.	15 აპრილამდე	ფინანსთა სამინისტრო საქართველოს მთავრობას წარუდგენს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს
3.	1 მაისამდე	მთავრობა პრეზიდენტთან შეთანხმებით ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს წარუდგენს პარლამენტის ეკონომიკური პროცესის კომიტეტებს
4.	1 ივნისამდე	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი შესაბამისი კომიტეტების დასკვნებზე დაყრდნობით ამზადებს დასკვნას და უგზავნის მთავრობას
5.	15 ივნისამდე	საქართველოს მთავრობა ამტკიცებს კალრებისა და ხარჯების ზღვრულ მოცულობას
6.	მე-5 პუნქტის შესრულებიდან 5 დღის განმავლობაში	ფინანსთა სამინისტრო ველა ძირითად მხარჯავ ერთეულს უგზავნის საბიუჯეტო ცირკულარს
7.	15 აგვისტომდე	საბიუჯეტო ცირკულარზე დაყრდნობით, მხარჯავ დაწესებულებების ხელმძღვანელები საბიუჯეტო განაცხადებს წარუდგენებ ფინანსთა სამინისტროს
8.	30 აგვისტომდე	ფინანსთა სამინისტრო საბიუჯეტო განაცხადებს ამოწმებს და იხილავს მხარჯავ დაწესებულებებთან ერთად
9.	5 სექტემბრამდე	მხარჯავ დაწესებულებას და ფინანსთა სამინისტროს შორის შეუთანხმებელი საკითხები წარედგინება მთავრობას საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად

№	ვაღები	პროცესი
10.	15 სექტემბრამდე	ფინანსთა სამინისტრო ამზადებს ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს მას საქართველოს მთავრობას
11.	1 ოქტომბრამდე	მთავრობა პრეზიდენტთან შეთანხმებით პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტს თანდართული მასალებით
12.	ყოველი თვის 20 რიცხვამდე	ფინანსთა სამინისტრო ხაზინის მეშვეობით ამზადებს ანგარიშს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, დეფიციტისა და დაფინანსების წყაროების შესახებ
13.	ყოველი კვარტლის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში	ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმოხილვას
14.	საბიუჯეტო წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს 3 თვისა	მხარვავი დაწესებულებები ამზადებენ საკუთარ საბოლოო ანგარიშებსა და ანგარიშებას, რომლის საფუძველზეც ფინანსთა სამინისტრო ამზადებს ერთიან წლიურ ანგარიშსა და ანგარიშებას
15.	მთავრობის ანგარიშის წარდგენის შემდეგ	კონტროლის პალატა წარადგენს დასკვნას
16.	1 ნოემბრამდე	პარლამენტი გამოსცემს დადგენილებას სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ
17.	მე-16 პუნქტიდან ერთ თვეში	სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებლობის შემთხვევაში თუ საქართველოს პარლამენტმა არ დამტკიცა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, პრეზიდენტი განიხილავს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს და პარლამენტს აცნობებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას


## 5.1 საბიუჯეტო თანხების მოძრაობა

სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების მიღება და სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება ხორციელდება ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მეშვეობით. სახაზინო სამსახურს ეროვნული ბანკის სათაო ოფისში გახსნილი აქვს შემოსავლების ერთიანი ანგარიში, ამასთან არც ერთ საბიუჯეტო ორგანიზაციას არ აქვს უფლება ხაზინის ნებართვის გარეშე რომელიმე ბანკში გახსნას ანგარიში. ამასთან, ხაზინას უფლება აქვს გააუქმოს ადრე გაცემული ნებართვა და გასცეს ბრძანება გახსნილი ანგარიშების დახურვაზე. სახელმწიფო ხაზინა პასუხისმგებელია სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობათა და სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადების სრულ და სწორ აღრიცხვაზე. ხაზინას უფლება აქვს ავტონომიურ რესპუბლიკებითან და აღილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით მოქმისახუროს მათ სახსრებისა და ანგარიშების მართვის პროცესში, ასევე მოხსენებების მომზადებისას.

2004 წლის 5 აპრილამდე საქართველოში საბიუჯეტო თანხები შემდეგნაირად მოძრაობდა (იხ. სქემა №2): გადასახადის გადამხდელი მომსახურე კომერციული ბანკის ან მისი ფილიალის მეშვეობით იხდიდა ბიუჯეტის კუთვნილ თანხას (ამასთან, შესაძლებელი იყო ბიუჯეტში ნაღდი ფულის დიდი ოდენობით შეტანა ეროვნულ ბანკში ან მის ფილიალში). მომსახურე კომერციული ბანკი (ფილიალი) ბიუჯეტში გადასარიცხ თანხებს შიდა ანგარიშსწორების წესით გადასცემდა თავის სათაო ოფისს. კომერციული ბანკის სათაო ოფისი ანგარიშსწორებას ახდენდა მათთვის ეროვნულ ბანკში გახსნილ საკორესპონდენტო ანგარიშიდან, შედეგად, თანხები ირცხვებოდა ეროვნული ბანკის სათაო ოფისში ან მის ფილიალებში, რეგიონების მიხდვით. ეროვნული ბანკის სათაო ოფისი ან მისი ფილიალი თანხას



სტანდარტების მოძრაობის პლანი სტანდარტების  
განვითარებისა და მოვლენის მიზანისთვის



ანაწილებდა სახელმწიფო და ტერიტორიულ ბიუჯეტებს შორის. ადგილობრივ მმართველობასა და თვითმმართველობას კატეგორიულად თანხას ანაწილებდა კომერციული ბანკი. მობილიზებული საბიუჯეტო შემოსავლების აღრიცხვისა და სახსრების ბიუჯეტებზე განაწილების მიზნით ეროვნულ ბანკში გახსნილი იყო დახლოებით 42 000-მდე ანგარიში.


2004 წლიდან ასეთი სქემა უკვე შეიცვალა და თანხები მოძრაობა შემდეგნაირად ხდება (იხ. სქემა №3): გადამხდელი გადასახადს იხდის რაიონის კომერციული ბანკის ფილიალში, კომერციული ბანკის ფილიალიდან შემოსავლები გადაეცემა მის სათაო ოფისს, ხოლო შემდეგ აღნიშნული თანხები მიემართება ეროვნულ ბანკში. ეროვნულ ბანკში განთავსებულია ხაზინის ერთანან ანგარიში სადაც აკუმულირდება მოელი თანხები. ერთანან ანგარიშის ქვეანგარიშებია საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტის სარეზერვო ფონდები და დეპოზიტები.

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ ხარჯების გაწევა სამი ეტაპისაგან შედგება (იხ. სქემა №4): ვალდებულების აღება, დამოწმება და სახსრების გადახდა.


საბიუჯეტო ორგანიზაცია ბიუჯეტით დამტკიცებული სახსრების მისაღებად სახელმწიფო ხაზინაში წარადგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

1. ვალდებულების დოკუმენტი;
2. დამოწმების დოკუმენტი;
3. საგადასახადო დავალება.

## სტანდარტი №3. რეზორტის გამოყენები გამოსავალის მოძრაობის მფლობელთა დანერგვისას



## სეცა №4. ხარჯის მოძრაობის მოდელი



საგადასახადო შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილება ხორციელდება კანონით დადგენილი წესით<sup>2</sup>. ადგილობრივი თვითმმართვლობის ბიუჯეტებში სრულად ჩაირიცხება ქინების და სათამაშო ბიზნესის გადასახადები. ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, ბიუჯეტში სრულად ჩაირიცხება როგორც ადგილობრივი, ასევე საშემოსავლო და მოგების გადასახადები. ბიუჯეტებს შორის საერთო სახელმწიფო ობრივი გადასახდების განაწილება მოცემულია ცხრილ №2-ში.

<sup>2</sup> საქართველოს კანონი „საგადასახადო, არასაგადასახადო და ქაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ.“

ცხრილი №2. საერთო სახელმწიფო გადასახადების ბიუ-  
ჯეტებს შორის განაწილება

05.01.2016 გვერდი  
სახლის მიზანის გადასახადი

შემოსავლები	სახელმ- წიფო ბიუჯეტი	აფხაზე- თის ა/რ ბიუჯეტი	აჭარის ა/რ ბიუჯეტი	სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები
საშემოსავლო გადასახადი		100.0	100.0	100.0
მოგების გადასახადი		100.0	100.0	100.0
დამატებული ღირებულების გადასახადი				
საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ მობილიზებული (გარდა აჭარის ა/რ-ისა)	100.0			
აჭარის ა/რ საგადასახადო ორგანოების მიერ მობილიზებული	70.0		30.0	
აფხაზეთის ა/რ საგადასახადო ორგანოების მიერ მობილიზებული		100.0	0.0	
იმპორტირებულ პროდუქციაზე	100.0			
აქციზი				
საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებულ პროდუქციაზე	100.0			
იმპორტირებულ პროდუქციაზე	100.0			
საბაჟო გადასახადი	100.0			
სოციალური გადასახადი	100.0			

## 6.1 ბიუჯეტის მონიტორინგის სახეები

საბიუჯეტო პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მონიტორინგს. ბიუჯეტი არ წარმოადგენს უბრალო ფინანსურ გეგმას, რადგან იგი ატარებს კანონის ხასიათს. შესაბამისად, დაუშვებელია კანონით განსაზღვრული საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი ხარჯება. საბიუჯეტო პროცესის მონიტორინგი ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შეფასების, ასევე გაკონტროლების ქმედითი ინსტრუმენტია.

მონიტორინგი შესაძლებელია ჩატარდეს საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე - შედგენა, განხილვა, დამტკიცება, აღსრულება, კონტროლი და ანგარიშგება. მონიტორინგი ხორციელდება ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ასევე ხარჯვითი ნაწილის მიმართ. შესაძლებელია ჩატარდეს ბიუჯეტის სხვადასხვა ტიპის მონიტორინგი.

ბიუჯეტის ფინანსური მონიტორინგისას აქცენტი უნდა გაკეთდეს ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელებზე საბიუჯეტო პროცესის ეტაპების მიხედვით.


საქორო  
უნივერსიტეტი  
სამართლებრივი დაწყები

**ცხრილი №3. ფინანსური მოინიტორინგისთვის საჭირო  
ინფორმაცია**

საბიუჯეტო პროცესის ეტაპები	შემოსულობები	გადასახდელები
შედგენა	ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული წინასწარი პარამეტრები, დასაბუთება, ცვლილებები, რომელიც განხორციელდა კანონპროექტის პარლამენტში წარდგენადე	მხარჯავი ერთეულების მიერ მოწოდებული ფინანსური სახსრების განაცხადები. ფინანსთა სამინისტროსა და მხარჯავ ერთეულებს შორის დიალოგის პროცესში შეტანილი კორექტირებები
განხილვა დამტკიცება	ბიუჯეტის პროექტში მთავრობის და პარლამენტის მიერ შეტანილი ცვლილებები და ბიუჯეტის საბოლოო დამტკიცებული ვარიანტი	ბიუჯეტის პროექტში მთავრობის და პარლამენტის მიერ შეტანილი ცვლილებები და ბიუჯეტის საბოლოო დამტკიცებული ვარიანტი
აღსრულება	მთავრობის პერიოდული ანგარიშები საბიუჯეტო შეძლებების შესახებ, მობილიზების დასაბუთება, სახაზინო სამსახურის მომიმდინარე ინფორმაცია	მთავრობის პერიოდული ანგარიშები გადასახდელების შესახებ, მთავრობის დასაბუთება, სახაზინო სამსახურის მომიმდინარე ინფორმაცია
კონტროლი და ანგარიშება	მთავრობის და კონტროლის პალატის ანგარიშები. საგადასახადო და საბაჟო საქვეუწყებო დაწესებულებების ანგარიშები	მთავრობის და კონტროლის პალატის ანგარიშები. მხარჯავი ერთეულების ანგარიშები


 ბიუჯეტის მონიტორინგი შესაძლებელია ჩატარდეს ეფექტურობის  
 კუთხით, რაც დანასარჯებთან შედეგის ურთიერთთანაურულებისთვის  
 ანალიზს გულისხმობს. თუმცა ასეთი ტიპის ანალიზი მნიშვნელოვან  
 სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან ქვეყნაში ბიუჯეტის  
 პროგრამული დაგენერიკის პრინციპი ფაქტობრივად არ არსებობს და  
 დასახული კონკრეტული ამოცანების და შეფასების მაჩვნებლების  
 გამოყენება რთულია. კონკრეტულ სფეროში სერიოზული მუშაობის  
 შედეგად შესაძლებელია ისეთი მონიტორინგის ჩატარება, რომელიც  
 გამოავლენს სფეროში საბიუჯეტო ხარჯების ეფექტიანობას.

### სქემა №5. მონიტორინგი ეფექტიანობის კუთხით




რესურსები მოიაზრება როგორც ფინანსური, ასევე სხვა ტიპის  
 რესურსები. პროდუქტი არის ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების  
 შედეგად შექმნილი საქონელი ან მომსახურება. მაგალითად:  
 ახალი სკოლის აშენების საბიუჯეტო ხარჯებით დაფინანსებისას,  
 პროდუქტი იქნება ახალი სკოლა. პროდუქტისგან განსხვავდება  
 სოციალური შედეგი. ზემომოყვანილი მაგალითის შემთხვევაში

სოციალური შედეგი შესაძლოა იყოს მოსწავლეთა გარემონტიფიციურული რაოდენობისათვის სასწავლო პირობების შექმნა ან გაუმჯობესებითათვა ბა. მონიტორინგის დროს ერთმანეთს უნდა შევადაროთ რესურსები და შექმნილი პროდუქტი ან შედეგი. შეფასება უნდა მოხდეს იმის მიხედვით თუ რამდენად ეფექტიანად განხორციელდა დაგეგმილი ღონისძიება.

კანონიერების კუთხით ბიუჯეტის მონიტორინგი გულისხმობს საბიუჯეტო პროცესის მიმდინარეობისას საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების შესაბამისად რეალური ქმედებების ურთიერთშედარებასა და გადახრების გამოვლენას.


#### სქემა №6. მონიტორინგი კანონიერების კუთხით






პოლიტიკური კუთხით მონიტორინგი გულისხმობს საბიუჯეტო პროცესების შეფასების მოცემული სქემა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საბიუჯეტო პროცესის თითოეულ ეტაპზე.

### სქემა №7. მონიტორინგი პოლიტიკური კუთხით



მმართველობითი კუთხით მონიტორინგი გულისხმობს საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღები სახელმწიფო სტრუქტურების მმართველობითი რგოლების მიერ მიღებული აღმინისტრაციული გადაწყვეტილების ზეგავლენის ანალიზს.

### ცხრილი №8. მონიტორინგი მმართველობითი კუთხით



## 6.2 ბიუჯეტის მონიტორინგის ჩატარების პროცესი

მონიტორინგის ჩატარების პროცესი მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

1. მონიტორინგის ობიექტის განსაზღვრა;
2. მონიტორინგის მიზნების ჩამოყალიბება;
3. მონიტორინგის დაგერმვა;
4. ინფორმაციის თავმოყრა;



5. შედეგების ანალიზი და დასკვნების შემუშავება;
6. ანალიზის შედეგების გავრცელება და გამოყენების მომსახურება.

## მონიტორინგის ობიექტის განსაზღვრა

მონიტორინგის პროცესის განხორციელებისათვის უპირველეს ყოვლისა, მეტაიოდ უნდა განისაზღვროს მონიტორინგის ობიექტი (მაგ. სფერო, პროგრამა, საქმიანობის სახე, პროცესი, ორგანიზაცია).

## მონიტორინგის მიზნების ჩამოყალიბება

ზუსტად უნდა განისაზღვროს მონიტორინგის მიზანი. მიზნის ჩამოყალიბება გულისხმობს მონიტორინგის სტრატეგიის ზუსტ შექმნებას, რაღვანაც შესაძლოა ბორცვების ფინანსური, მინარევობივი, დასმული ამოცანების შესრულების, სამართლებრივი, მიზნობრიობის, ეფექტიანობის და სხვა ტიპის მონიტორინგის ჩატარება.

## მონიტორინგის დაგეგმვა

მონიტორინგის დაგეგმვისას საჭიროა შედგეს დოკუმენტი, რომელშიც აისახება შემდეგი საკითხები:

- მონიტორინგის მიზნები;
- მონიტორინგის ობიექტი;
- მონიტორინგის პროცესის ძირითადი არსი და აქცნტები;
- მონიტორინგის ვადები;
- მონიტორინგისათვის საჭირო ინფორმაციის ნუსხა;
- ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების ფორმები;
- მონიტორინგის ჩატარების დეტალური სამუშაო გეგმა;
- მონიტორინგის ეტაპობრივი შეფასების მექანიზმი;
- მონიტორინგის პროცესის მენეჯმენტი;
- მონიტორინგის მოსალოდნელი შედეგები;

- მონიტორინგის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები.

## ინფორმაციის თავმოყრა

მონიტორინგის პროცესში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ინფორმაციის მოპოვების შემდეგი ძირითადი მეთოდები:

- დოკუმენტაციის შესწავლა;
- დაკვირვება;
- ანკეტირება;
- ინტერვიუ.

**დოკუმენტაციის შესწავლა** მოიცავს საკანონმდებლო, სტატისტიკური, ფინანსური და სხვა ოფიციალური დოკუმენტაციის თავმოყრასა და შესწავლას. აღნიშნული ფორმის გამოყენებისათვის საჭიროა მომზადეს დოკუმენტაციის ნუსხა, შემდგომ განისაზღვროს, თუ რა ფორმით და მეთოდით მოხდება მათი მოპოვება, სისტემატიზაცია და დამუშავება.

**დაკვირვება** გულისხმობის მონიტორინგის ჯგუფის მიერ გარკვეულ მოვლენებსა და ფაქტებზე დაკვირვებას. მაგალითად, თუ ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო გარკვეულ ტერიტორიაზე ჯზის საფარის შეცვლა, ან რამე შენობის აშენება, ჯგუფის შეუძლია დაათვალიეროს აღნიშნული ადგილი და შეაფასოს, რამდენადაა შესრულებული დაგეგმილი ამოცანა. რიგ შემთხვევებში დაკვირვება ინფორმაციის მიღების ფაზაზე უფლებური საშუალებაა. დაკვირვებისათვის წინასწარ უნდა განისაზღვროს დაკვირვების ობიექტების ნუსხა, მიზნები და ამოცანები. ასევე, უნდა დაგევმოს ვინ და რა გადებში განახორციელებს მას. მიზანშეწონილია დაკვირვების პროცესი გარკვეული ტექნიკური საშუალებით (ფოტო, ვიდეო, აუდიო საშუალებები) აღიაბეჭდოს.

**ანკეტირება** – ანკეტირებისათვის საჭიროა შეიქმნას კითხვარი, განისაზღვროს მაზნობრივ რესპონდენტთა ჯგუფი. წინასწარ უნდა

დადგინდეს რა ინფორმაციის მიღება საჭირო, ასევე უნდა შეირჩის  
კითხვები, მათი დასმის ფორმები და თანმიმდევრობა.



მნტვრველი ინფორმაციის მიღების კრიტიკულება ისეთ შემთხვევებში,  
როდესაც საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა და სხვა სახის  
დოკუმენტაცია ქმნის გაურკვევლობებს და საჭიროა დეტალური  
ინფორმაციის მიღება კონკრეტული პირებისაგან.

**მონიტორინგის შედეგების ანალიზი და დასკვნების შემუშავება**

მოპოვებული ინფორმაცია უნდა დამუშავდეს მონიტორინგის მიზნების  
შესაბამისად. დამუშავებისათვის სასურველია წინასწარ მომზადდეს  
მოდელური ანალიზის ფორმები. ანალიზის საფუძველზე უნდა  
მომზადდეს რეკომენდაციები და ძირითადი დასკვნები.

**ადგილობრივი ბიუჯეტი –** საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტი, რომელიც შედგება შესაბამისი შემოსულობებისა და გადასახდელებისგან.

**ავტონომიური ერთეულების ბიუჯეტი –** აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური ერთეულების ნაერთი ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და მათ შემადგენლობაში შემავალი ტერიტორიული ერთეულების (სოფელი, დაბა, თემი, რაიონი, რაიონული დაქვემდებარების ქალაქი და ქალაქი) ბიუჯეტებს.

**არაპირდაპირი გადასახადი –** დაბევრის ისეთი ფორმა, როდესაც კანონმდებლობით დადგენილ გადასახადს საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას იხდის მომხმარებელი. ამ ტიპის გადასახადები შედიან საქონლის ფასში ან მომსახურების ტარიფში და საქონლის მფლობელს მისი (საქონლის) რეალიზაციიდან მიღებული გადასახადის ოდენობა შეაქვს ბიუჯეტში.

**არასაგადასახადო შემოსავლები –** მიმდინარე დანიშნულების ყველა საბიუჯეტო შემოსავალი, გარდა საგადასახადო და კაპიტალური შემოსავლებისა.

**ასიგნება –** ბიუჯეტიდან განსაზღვრული ფულადი თანხის გამოყოფა დამტკიცებული ხარჯების გასაწევად.

**ბიუჯეტი –** საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების შემოსულობების, აგრეთვე მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების ნუსხა.

**ბიუჯეტის დეფიციტი –** ბიუჯეტის ხარჯებისა და დაკრუდიტების გადამეტება შემოსავლებსა და ფულად გრანტებზე.



ბიუჯეტის პროფიციტი – ბიუჯეტის შემოსავლებისა და გრანტების გადამეტება ხარჯებსა და დაკრედიტებაზე განლილება

ბიუჯეტის შემოსულობები – ბიუჯეტის ანგარიშებზე მისაღები ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობა.

ბიუჯეტის შემოსავლები – კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტების ანგარიშებზე მისაღები ფულადი სახსრები, რომელთა დაბრუნება და ანაზღაურება არ ხდება.

ბიუჯეტის გადასახდელები – ბიუჯეტის ანგარიშებიდან გასაცემი ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობა.

ბიუჯეტის ხარჯები – ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მათი ამოცანებისა და ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ფულადი სახსრები.

გადასახადი – საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

გრანტი – ოფიციალური უსასყიდლო ტრანსფერტი, რომელიც მოიცავს როგორც მიმდინარე, ასევე კაპიტალურ ტრანსფერტებს და გააჩნიათ მიზნობრივი ხასიათი.

კაპიტალური შემოსავლები წარმოადგენს სახელმწიფო ქონების, მათ შორის არაძირითადური აქტივების გაყიდვით მიღებულ შემოსავლებს.

მხარვავი დაწესებულება – ბიუჯეტის ხარჯების ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით პირველი თანრიგის დაწესებულება, რომლისთვისაც ბიუჯეტით გათვალისწინებულია ასიგნება ან



საშემოსავლო პროგნოზი და იგი პასუხისმგებელია ხარჯების შემოსავლების მართვაზე.

**პირდაპირი გადასახადი** – გადასახადის ისეთი ტიპი, რომელიც წესდება უშუალოდ შემოსავალზე.

**საბიუჯეტო სისტემა** – სახელმწიფო ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და გამოყენების მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის, საბიუჯეტო პროცესისა და სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ერთობლიობა.

**საბიუჯეტო პროცესი** – საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშებისა და კონტროლს.

**საბიუჯეტო ორგანიზაცია** – მხარევადი დაწესებულება ან მის დაკვემდებარებაში მყოფი ერთეული, რომელიც ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშებისა დადგენილი ნორმების, სტანდარტებისა და წესების შესაბამისად.

**საგადასახადო შემოსავლები** – ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადების შესაბამისად მობილიზებული საბიუჯეტო თანხების ერთობლიობა.

**სახელმწიფო ბიუჯეტი** – ცენტრალური ხელისუფლების ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შემოსულობებსა და გადასახდელებს.

**ფისკალური პოლიტიკა** – სახელმწიფოს მიერ გადასახადების და ხარჯების სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების ერთობლიობა.

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---



014/480

F 74.168  
051259240  
3101033